# სახალხო გაზეთი

№ 1183 პარასკევი, 9 მაისი 1914 წ. № 1183

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 11 მაისს.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 15 მაისს, 1914 წელს გაიმართება

## ი. ევდოშვილის საღამო

შემდეგის შინაარსით:

I

### ლ ე ქ ც ი ა

გერონტი ქიქოძე წაიკითხავს ლექციას „ფრანგი მოქანდაკე კონსტანტე მენიე". ლექციის დროს ნაჩვენები იქმნება ზუნდოვანი ფარნით მენიეს ქანდაკებანი: 1) ქარხნის მუშა, 2) მაღაროდან ამოსვლა, 3) დაკარგული შვილი, 4) მწყურვალი მუშა, 5) მთამადნის მაღაროების მუშა ქალი, 6) მკა, 7) მრეწველობა, 8) ნავთსადგური, 9) მაღარო, 10) მთესველი.

II

### „რაც არ მერგება არ შემერგება"

1 მოქმ. ვოდევილი გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნები ლიზა ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ბ-ნნი: ვასო აბაშიძე, ა. ალამიძე, ს. ივანიძე, ს. ქავიძე.

III

### სალიტერატურო განყოფილება

მონაწილეობენ: სოფრონ მგალობლიშვილი, ნ. გოცირიძე, ადამ ადამიძე, ვ. გ. მაჩაბელი.

IV

### საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობენ: ვანო სარაჯიშვილი (იმღერებს რომანსებს), ი. ბარათაშვილი (დაუკრავს თარზე), მიხეილ კავსაძის ქართული გუნდი (შეასრულებს ქართულ სიმღერებს).

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

ბილეთები თეატრის კასაში უკვე იყიდება. 1198

კვირას, 11 მაისს, ქარაპეტოვის ბაღში, მიხეილის ქუჩა, № 65

მანდილოსანთა საზ. გაფრთხილების საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

## დიდი სეირნობა

ლოტერეა-ალეგრით.

წარმოდგენა განსაკუთრებით ყმაწვილთათვის და დიდებისთვის: ნიშანში სროლა, ცხენის გადაგდება, შუშხუნები, მუსიკა, დუდუკი და სხვა. დასაწყისი 3 საათზე. შესასვლელი ფასი 25 კაპ. მოსწავლენი და ბავშვები გადიხდიან 15 კაპ. 231

ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახალხო სახლი

ძ. ი. ზუბალაშვილის სახელობ სახლთან არს. ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ წლის 14 მაისს, ოთხშაბათს დილის 11 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია

### წრის წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები: წლიური ანგარიშის განხილვა, გამგეობის წევრების და სარევიზიო კომისიის არჩევნები, გამგეობის მოხსენება წესდების რამოდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ.

კვირას, 11 მაისს, იმშვიათ და საინტერესო

## საღამოს გამართავს

## მათე იანქოშვილი შემდეგის პროგრამით:

განყოფილება 1 მავთულიანი და უმავთულო ტელეგრაფის შესახებ ქართულად ლექციას წაიკითხავს მათე იანქოშვილი,

2 განყოფილება. პირველად წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური ტრანსფორმატიული კომედია:

### გაჭირვებული ადვოკატი, თხზულება მათე იანქოშვილისა.

მოქმედნი პირნი: 1. ადვოკატი კახელი, 2. ლაქია ადვოკატისა იმერელი, 3. სახლის პატრონი ადვოკატისა სომეხი, 4. ეფიცერი მეზობელი ადვოკატისა რუსი, 5. სამსახურ გარეშე მყოფი ოფიცერი, კლიენტი 6. გლახა, 7. სტუდენტი ძმა ადვოკატის, 8. ცხვარეული ადვოკატისა ოსი, ყველა აქ ჩამოთვლილ რვა მოქმედ პირთა როლებს შეასრულებს ერთი პირი, თვით ავტორი, რომელიც 15-ჯერ იცვლის ტანისამოს და გრიმს. თან სხვა-და-სხვა სამუსიკო საკრავებზე დაუკრავს, იმღერებს და იცეკვებს. განყოფილება 3. 1. დეკლამაცია, 2. სცენები, 3. ცოცხალი სცენები, 4. საიდუმლო მუსიკა, 5. ტექნიკურად უძნელესი მუსიკა ანუ ლეკური ზურგზედ. ყველა ამას შეასრულებს მათე იანქოშვილი.

დასაწყისი საღამ. 8-ნახევარ საათზე. 352

## დიდი ცირკი ფ. ა. ისუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

პარასკევს, 9 მაისს, გაიმართება



### დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

მე-4 გასტროლი! უცნაურ ფენომენის ალისა! ნუ გაუშვებთ შემთხვევას და ნახეთ მსოფლიოდ ცნობილი კაცი-აკვარიუმი! მსოფლიოს სენსაცია! მეოცე საუკუნის ამოცანა! ალიმ დააინტერესა მთელი ქვეყნიეროების სამკურნალო მეცნიერება. რომელიც მის ფენომენალურ კუჭის გამოკვლევას ცდილობს. ალი დალევს 60 ჭიქა წყალს და უკანვე ამოისვრის, ალი დალევს ნავთს და ცეცხლის ზადრევნად ამოუშვებს. ალი ჩაყლაპავს თევზებს, ბაყაყებსა და ჯოჯოებს და ისევე ცოცხლებს ამოჰყრის. ალი ჩაყლაპავს სამ ცხვირსახოცს სხვა და სხვა ფერისას და საზოგადოების სურვილისამებრ რომელსაც დაუსახელებენ, იმას ამოიღებს. ალი ჩაყლაპავს 30 ნუშს ნაჭუჭიანად და თითო-თითოდ ამოიღებს უკანვე. ალი შეასრულებს ყველაფერს პირველად და მის მსგავსი თუ გაუკეთებია ვისმე რამე მხოლოდ ალის მკრთალი მიბაძულობით. ალის კუჭი 69 სანტიმეტრია. რომ დარწმუნდეთ, უნდა ნახოთ!

ცირკის დირექტორი ფ. ა. ისუპატოვი. გამგე ლ. მ. ხუნდაძე.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. 326

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, გორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

## სანატორიუმი

## „რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

ჭლექიანებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მიცვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს შ. მეზრაბიანცს, 4 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—32. 1087

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებით.

კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუქნერი მ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1088

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—$11^1/_2$ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^1/_2$ ს.

სამხიდრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

გაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

### წამლობა „914" და „606".

1023

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი ბ. ბ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1 ს.<br>ფიდლოროვი ე. გ. ყოველ დღე 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულ. ბანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>დორადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერჩიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>ფიდლოროვი მ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ხერხემლის სნეულ., და ვენ. | ჯაფახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდლოვი მ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათინიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1070

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

## ი. გრიშაშვილი

წიგნში, მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.

ფასი ერთი მანეთი

ვინც არა ნაკლებ 5 ცალისას იყიდის ან დაიბარებს, დაეთმობა 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება ამ ადრესით:

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. нас. 1072

სხვადასხვა დამოუკიდებ. მიზეზებისა გამო,

ქართველ სცენის მოღვაწეთა ყრილობა

11 მაისიდან გადაიდო 25 მაისისათვის.

## ზედამხედველი კომიტეტი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

## ბ ა ნ კ ი ს ა

აუწყებს ბ.ბ. რწმუნებულთ, რომ წესდების მე-90 §-ით, მიმდინარე 1914 წ.

25 მაისისათვის, დილის 11 საათზე,

ქ. ტფილისში ფრეილინის ქუჩაზე, ბანკის სადგომში დანიშნულია

## რწმუნებულთა წლიური

## კ რ ე ბ ა

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1913 წ. და საამისო მოხსენება გამგეობისა.

2) დამფასებელ კომისიის მოხსენება.

3) ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება 1913 წ.

4) მოხსენება ბანკის სადაო საქმეებისა.

5) მოხსენება შტატის ცვლილებისა.

6) მოხსენება შტატ-გარეშე მოსამსახურეთა შესახებ.

7) მოხსენება ბანკის მსახურთათვის შემნახველ-გამსესხებელ კასის თაობაზე.

8) მოხსენება საპენსიო კასისა კასის წესდების მე-44 §-ის მიხედვით.

9) ბანკის ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდი 1914 წ.

10) არჩევნები ზედამხედველ-კომიტეტის სამი წევრისა, მორიგეობით გასასვლელ გ. დ. ჟურულისა და თ-დ ა. ნ. ჭავჭავაძისა და ვადას გასვლამდე გასულ თ-დ კ. ნ. აფხაზის მაგიერ, გამგეობის ერთი წევრის არჩევა მორიგეობით გასასვლელ ს. რ. ვახვახიშვილისა და მისი კანდიდატის ნაცვლად, არჩევა დამფასებელ კომისის ორი წევრისა, ნაცვლად მორიგეობით გასასვლელ თ-დ ლ. ლ. ჩერქეზიშვილისა და თ-დ ნ. დ. ერისთავისა და მათი კანდიდატებისა.

რწმუნებულთა კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

## ზედამხედველი კომიტეტი

მიხეილის სახელობის არსებულ

ქუთაისის სათავად-აზნაურო

საადგილ-მამულო

## ბ ა ნ კ ი ს ა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

ბანკის რწმუნებულთა მორიგი

## საზოგადო კრება

დანიშნულია 1914 წ. მაისის 11-ს, დილის 10 ს., ბანკის სადგომში.

მე-89 § ის მიხედვით, კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

რწმუნებულთა კრება განიხილავს:

1) 1913 წლის ანგარიშს, ზედამხედველ კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელ კომიტეტის მოხსენებებით.

2) გამგეობას მოხსენებას 1913 წ. ანგარიშების მიხედვით მოგების განაწილებაზე.

3) ბანკის მსახურთა საპენსიო კასის ანგარიშს.

4) ბანკის წესდების ზოგიერთ §§-ის შეცვლა და შევსება.

5) გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების თაობაზე.

6) ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება ბანკისათვის შენობის აგების თაობაზე.

7) ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა 1914 წლისა.

8) ბანკში მსახურთა შტატის შემუშავება.

9) არჩევნები გამგეობისა, ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის წევრის კანდიდატისა, ნაცვლად მორიგეობით გასულთა. 1147

**ტფილ. ქართული თეატრი № 795.**

კვირას, 11 მაისს, **ქართ. დრამატ. დასის მსახიობების მიერ ავლაბრის ქართ. ხალხო წარმ. მმართ. წრის დასის დახმარებით** წარმოდ. იქნება ცნობილი ისტორიულ პიესა **ან. ფურცელაძის**

# დიდი მოურავი (გიორგი სააკაძე),

დრამ. 5 მოქმედ. და 10 სურათად.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ნ. გამყრელიძე, მ. ვიქტორელი, ვ. მარგველაშვილი, თ. საკოვისა, უცხოელი, მოსული; ბ-ნნი: ი. ივანიძე, დ. მგალობლიშვილი, ნ. გვარაძე, გ. არადელი-იმხნელი, ნ. ჩაგუნავა, ნ. ციციშვილი, თარალაშვილი, ა. ალექსიძე, ი. ქივიძე, რ. ჯიბლაძე, ს. სულთანიშვილი, ა. თავდგირიძე, გ. მაჩხანელი, ბ. მაისურაძე, ი. ქიზიყელი, თ. მაღაროელი, ქვლივიძე, მოვიდაგვარაშვილი, ბროძელი, მანჯავიძე, კახურაშვილი, სანდროშვილი, რევაზიშვილი; გლეხები, შიკრიკები, ჯარის კაცნი და სხვანი. მონაწ. მიიღებს ქართველ მომღერათა გუნდი **ბ-ნ მთაურელის** ლოტბარობით. ✦ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ-დღე. **დასაწყ. სწორედ საღ. რვა-ნახევარ საათ.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი **ი. ივანიძე**, გამგე **თ. ნასიძე**.

## სანურდაღოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმთავრესადა ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

## ექიმ ლ. ლ. ბოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის. ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, თეთრ სენის** და კანის ავადმყ. **გასხვრმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5$^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სტოსტო განყოფ. პირდაპირ.

**ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი** **გადმოვიდა ახალ ბინაზე,** სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

**შინაგანი ბაგშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების** ავადმყოფობანი. **ელექტროტერაპია** იღებს დილ ის 10—11 ს. და საღამ. ს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი**

## გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფობებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. **უფასოდ.** ბებუთოვის ქ., 23. **ტელეფ. № 7—92.** 1516

## ექიმი ნ. ნ. ჯაჯანიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

## ექიმი ს. გ. მამრაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (**ქალთა და სამშობ. სნეულებანი**).

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ქ. გ ო რ შ ი

**ექიმი** (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი). **ა. დ. ჭინამძღვრიშვილი** ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

**შინაგანი** და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ **დროს** სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1050

# ქართული პრესა

„აზრს“ ვერასოდეს სწორედ ვერ ამოუვა თავისი უაზრო სული. როგორც თევზი უწყლოდ, ისე „აზრი“ უცილისწამებლოდ ვერ გასძლებს. პირველი მაისის გაფიცვის გამო ჩვენს გაზეთში მეორე დღეს მოკლე, ხოლო მესამე დღეს დაწვრილებითი ცნობები იყო დაბეჭდილი. მაინც „აზრმა“ ვერ მოითმინა და უაზროდ იცრუა. ეს ჩვენ აღვნიშნეთ, მაგრამ აზრმა „ეხტიბარი“ არ გაიტეხა და გვეუბნება: თქვენ სტყუით, რადგან პირველ მაისს დიდუბის ეკლესიაში იყავითო. აზრი ბრძანებს:

„აი რას სწერდა „სახ. გაზეთი“ 2 მაისის № 1117 ქრონიკაში: „**პირველ მაისმა ტფილისში მშვიდობიანად ჩაიარა, რამდენიმე ადგილას მუშათა გაფიცვა იყო.**

აქ როგორც ჰხედავ მკითხველო, არც ტრამვაის გაფიცვაზეა რაიმე ნათქვამი და არც იმ დარგებზე, სადაც გაფიცვები მოხდა.

ამავე დროს იმავე „სოციალისტურ“ გაზეთში დაწვრილებით არის აღნიშნული დიდუბის ეკლესიაში რომელმა ეპისკოპოსმა ილოცა, როგორ იმღერეს „წაიყვანეს თამარ ქალი“, სად ასვენია წმინდა თამარის მეფის ხატი და სხვა ასეთები.

აი რაზე სწერდით თქვენ ბ. „სოციალისტებო“, 2 მაისს და რა იპყრობდა თქვენს ყურადღებას. სხვა თუ არა, როცა დიდუბის ეკლესიაში სალოცავათ მიბრძანდებოდით, ის მაინც ვერ დაინახეთ, თუ როგორ ამუშავებდენ პოლიციელთა დახმარებით ტრამვაის ვაგონებს“?!

ამის შემდეგ გვიპასუხებთ ბ. „საახალხოელნო“,—ვინ სტყუის, ჩვენ თუ თქვენ?!“

ჩვენ ძალიან კარგადაც დავინახეთ და „აზრზე“ ადრეც მოვათავსეთ ჩვენს გაზეთში პირველ მაისის გაფიცვის ანგარიში, მაგრამ „აზრელების“ ბინდიან თვალებს ჩვენს გაზეთში ვერ დაუნახავთ. ძალიან არ გამოვედავებით. წამკითხველმა წაიკითხა, გამგონმა გაიგო, და თუ „აზრი“ მაინც ვერაფერსა ჰხედავს, ეს ჩვენ ძალიან ნაკლებად გვაინტერესებს. „აზრი“ ჩვენს მსაჯულად არ მიგვაჩნია.

# ნარკვევი

პირველ მაისის დღესასწაულმა რუსეთში, როგორც ვიცით, ღირსეულად ჩაიარა. გაფიცვა მოხდა თითქმის ყველა სამრეწველო ქალაქში. ამის თაობაზე პეტერბურგის „ნაშა რაბოჩაია გაზეტა“ სწერს, რომ მიუხედავად პოლიციის მხრივ მრავალი ცდისა და შრომისა ჩაეშალათ როგორმე ეს დღესასწაული, მუშებმა მაინც იდღესასწაულეს თვის საკუთარი დღეო. გაზეთი სხვათა შორის სწერს:

„პირველი მაისი შეიქმნა იმ ჩვეულებრივ, ამოუფხვრელ დღესასწაულად, რომელიც არ მოიშლება არავითარის ძალით და რომლის დროსაც რუსეთის მუშათა კლასი თვალსაჩინოდ ჰხდის თვის ნათესაობას საერთაშორისო პროლეტარიატთან. მაგრამ სწორედ ამიტომ, რომ პირველ მაისს რუსეთის პროლეტარიატი იმსჭვალება თვისი **საერთაშორისო** მოვალეობის შეგნებით, სწორედ ამ მნიშვნელობით, პირველი მაისის დღესასწაული უპირველესად ყოვლისა არის ისეთი დღე, როდესაც ხაზგასმით აღინიშნება ეროვნული მოთხოვნილებანი, რადგანაც საერთაშორისო სამსახური ამა თუ იმ ერის პროლეტარიატს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ებრძვის თვის სახლში კაპიტალის საერთო მონობას და იმ ფორმებს სპეციალურ მონობისას, რაიც ბატონ-ყმობის ნაშთის სახით მძიმე უღელივით აწევთ ევროპის სახელმწიფოებთა მშრომელ ხალხს“.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

**7 მაისის კრება.**

**გარუნ-ხეკრეტი თავმჯდომარეობს.** შეტანილია საკანონმდებლო მოსაზრება, რომ შეცვლილი იქმნას სახალხო განათლების უწყებაში მყოფ საშუალო ვაჟთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების საპედაგოგიო საბჭოს შემადგენლობა. აგრეთვე განცხადება, რომ მიმართონ კავკასიის მეფის მოადგილეს და განმარტება მოსთხოვონ ბაქოს რაიონში გავრცელებულ მალარიის საწინაამდეგო ზომების მიღების შესახებ. განსახილველია გაუწერელი გადასახადებისა და სახაზინო არყის გამოხდის უწყებათა ხარჯთაღრიცხვა.

მომხსენებელმა **გრინევიჩმა** აღნიშნა: უწყებამ შეასრულა უმრავლესობა სათათბიროს მიერ შარშან გამოთქმულ სურვილებისა. ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს კომისიამ უარჰყო წინადადება, რომ სიფხიზლის საზოგადოებას მიეცეს დახმარებად მილიონი მანეთი. კომისია სცნობს რომ ასეთი დახმარება მეტია, სანამ სიფხიზლის საზოგადოებათა სამზრუნველოში რეფორმები არ იქნება განხორციელებული.

**როდიჩევი** აღნიშნავს, რომ სპირტის სახაზინო ვაჭრობა კრიზისს განიცდის, ძველი სისტემა დაწუნებულია, ნაუწყებია ახალი გეგმა, გრაფი კოკოვცევი გადაყენებულია; ამ დროს კი, თუ მის ნამოქმედარს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ რომ უსამართლო და ცრუ ის ბრალდებანი, რომელიც ფინანსთა სამინისტროსადმი იყო წამოყენებული. შეუძლებელია, არ ვაღიაროთ, რომ ჩვენს პოლიტიკურ მოპირდაპირეს კოკოვცევს დიდი სამსახური მიუძღვის ძველი ტრადიციების დაცვის სახით, საქმიანობის დროს კეთილ-სინდისიერებისა და მმართვა გამგეობის საქმეში—პატიოსნებისა. ეხლა სამინისტროს სათავეში სდგას პიროვნება, რომელიც ყოველსავე კავშირსა სწყვეტს წარსულთან; ამიტომ ადგილი არ იქნება შევეკითხოთ მას, დაცული იქნება თუ არა ძველი კეთილშობილური ტრადიციები. შემდეგ ორატორი გადადის ლოთობის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხზე და ამბობს: გარეგან მექანიკური ზომებით ლოთობის მოსპობა არ შეიძლება. არც არაყის ფასის მომატება, და ვერც არყის, გამყიდავ დუქნების რიცხვის შემცირება, რასაც მთავრობა მიმართავს ხოლმე. რუსეთის გამოფხიზლება—ეს ხალხის შინაგან განწყობილების საქმეა და ამას კი მთავრობის განკარგულებანი ვერ შექმნის. სოფლის ცხოვრების თანამედროვე მდგომარეობაში, და მცირე საადმინისტრაციო მოხელეთა თვითნებობის დროს ვერავითარი ლოთობის საწინააღმდეგო ზომა შედეგს ვერ მოიტანს. საჭიროა ხალხში ამაღლებულ იქმას ადამიანური ღირსება, ყოველ ადამიანში გამაგრებული იყოს უფლებათა უცვლელობის რწმენა, მცხოვრებთ სამოქალაქო უფლებები მიეცნიჭოთ. ქალაქებში ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა საზოგადოებრივი თვითმოქმედებათა განვითარება. მთავრობამ გულწრფელად უნდა აღიაროს, რომ საჭიროა მოქალაქობრივი უფლებათა განხორციელება, რადგან მხოლოდ თავისუფალ ხალხს შეუძლიან ფხიზლები იყვეს. მასლენიკოვი ამბობს, რომ გამოფხიზლების საქმეში მთავრობას არა სურს რომ ერობამ და ქალაქების თვითმმართველობამ მიიღონ მონაწილეობა; ამიტომ, ორატორი ჰფიქრობს, რომ მთავრობას ხალხის გამოფხიზლება ცირკულიარებითა და პოლიციური ზომებითა ჰსურს.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი **ნოვიცკი** უპასუხებს ორატორებს.

**თავმჯდომარე** წინადადებას აძლევს სათათბიროს ფეხზე ადგომით მოისმინონ მეფის პასუხი მისალოც დეპეშაზე: „პეტერბურგი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს. გადაეცით სახელმწიფო სათათბიროს ჩემი მადლობა მილოცვისათვის. „ნიკოლოზი“ თავმჯდომარე ამბობს „ვაშა, ხელმწიფე იმპერატორს“. სათათბიროს წევრები ვაშას იძახიან.

**მღვდელი კარაევი** საუკეთესოდ სთვლის ლოთობის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას.

**მარკოვი მეორე** უპასუხებს მემარცხენე ორატორებს, რომ თავისუფლებასა და ლოთობის შორის არავითარი კავშირი არ არის. ტყუილად ასახელებენ ცხოვრების პირობებს, რომელიც ვითომც ტრახტირებისაკენ იზიდავს ხალხს. ჩვენ და მთავრობა ლოთობის წინააღმდეგ მუდამ ვიბრძოლებთ—ათავებს სიტყვას ორატორი—მხოლოდ „ჟიდებს“ თავისუფლებას არ მოგანიჭებთ, რადგან „ჟიდ“-ი ცრუობის და ლოთობის მამაა.

**ნაზაროვი** აღნიშნავს, ... ნის ოლქში, სადაც ერთი ... არ ურევია ლოთობა ძლიერ ... ცელებულია. საერთო კამათი ... სრულდა. ხარჯთ-აღრიცხვის 15 ... ლი უკამათოდ იქნა მიღებული. თექვსმეტე მუხლის გამო ... მეორე მოითხოვს, რომ აღდგენ... იქნას საბიუჯეტო კომისიის ... გამორიცხული 500 ათასი ... ლის საზოგადოების სამზრუნველ... დახმარებისა. კამათის შემდეგ სათ... ბირომ 133 ხმით 106 წინააღმ... ლვოვის წინადადება უარჰყო ... კომისიის ფორმულა მიიღო ... ხმის უმრავლესობით 106 წინა... დეგ ლვოვის წინადადება ... ტის აღდგენის შესახებ უარჰყეს ... ნარჩენი მუხლები და საბიუჯ... კომისიის ფორმულა უკამათოდ ... იღეს.

უკამათოდ მიიღეს საბაჟო გად... ხადის შემკრებ დეპარტამენ... ხარჯთაღრიცხვა. მიიღეს აგ... მცირე კამათის შემდეგ საზღვ... დარაჯთა უწყების ხარჯთაღრ... მიიღეს წინადადება რომ ხვალ (... დილის გარდა საღამოსაც დაი... ნოს კრება, აგრეთვე საღამოს ... ციალური კრება დაინიშნოს ორ... ბათსაც, რომელზედაც განხილ... უნდა იყვეს საკანონმდებლო მ... ზრების კომისიის მოხსენება სათ... ბიროს წევრების პასუხისგების ... სახებ.

**საღამოს კრება.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს ... საქმეთა შორის არის იუსტ... მინისტრის მიერ გაგზავნილი ... ტფილისის სამოსამართლო პალ... 22 აპრილის განჩენისა დეპუტ... სკობოლევის საქმის გამო. უკა... ნელს სასჯელი გადაუწყვიტეს ... მუხლის პირველი ნაწილის ძა... სახელმწიფოს საწინააღმდეგო ... როტმოქმედებისათვის. პირი გად... პირად შემადგენლობის კომისიას.

**კერენსკი** შრომის ჯგუფის... ეს-დეკების მინდობილობით ჰკით... ლობს რიგის გარეშე განცხად... მარჯვნივ და ცენტრში პროტეს... ხმა ისმის. თავმჯდომარე რამდენ... მე აწყვეტინებს სიტყვას ორატო... და წინადადებას აძლევს უკმეხ ... ზებს მოერიდოს. ბოლოს სიტ... ართმევს.

**ხაუსტოვი** შეეცადა კერე... განცხადების წაკითხვის გაგრძე... ბას. თავმჯდომარე ჯერ მასაც ... ლევს წინადადებას განსახილვე... განს დაუბრუნდეს, შემდეგ კი მ... ართმევს სიტყვას.

**მალინოვსკი** სიტყვას იწყებს გან... დების კითხვის გაგრძელებით, თავ... მას სიტყვას ართმევს. მალინოვ... ხმაურობას ყურადღებას არ აქ... და კითხვას განაგრძობს. თავმჯდ... მარე კვლავ უმეორებს, რომ ... ლაპარაკის ნება არ აქვს. მალინოვ... კი კითხვას განაგრძობს. თავმჯდ... მარე ბოქაულს ანიშნებს. ბოქაულ...

# მგზავრის შენიშვნები

ღამე ს. ნაფიჩხუეში გავატარეთ ომარტეს დუქნებზე ახლო. მეორე დღეს ცოტა გვიან შეგვექმნა გადასვლა, რადგან წვიმიანი დღე იყო. მალე შევედით ს. კურზუში. ეს უკანასკნელი სოფელია, რომელიც უნდა გაიაროს „მოჰავემ“, რომელიც თეთრ მთისაკენ მიემგზავრება. ამ სოფლიდან კი იწყება მთების სამფლობელო. ს. კურზუს მცხოვრებთ კარგი ფიცრული სახლები უდგათ ყავრითა და კრამიტით დახურულები. ეზო მშვენიერათ შემოკავებული ლამაზათ გაკეთებული და დახურული ალაყაფის კარებით. ეს სოფელი მთის კალთებზე მდებარეობს, ამიტომ აქ ჰაერი საღია და წყალიც კარგი. გზებსაც არა უშავს, რადგან სენაკიდან ფაიტონიც ამოდის კურზუს დუქნებამდის. აქა-იქ ამერიკულ ძირზე დამყნილ ვენახებსაც შეხვდებით. „ოდესსაც“, სამეგრელოს სხვა კუთხესთან შედარებით, გვარიანათ ესხა. ამასთან შარშან, როცა უმეტესი ნაწილი იმერეთ-გურიისა გვალვისაგან გადამხმარი იყო და იქაურ მხვნელ-მთესველს მოსავალზე ხელი აეღებინა, ს. კურზუში, როგორც მთის ძირში მდებარე ალაგას, წვიმა საკმარისად მოდიოდა და, ამიტომ, სიმინდის მოსავალიც საკმაო უნდა ყოფილიყო.

კურზუს თავში, მთებისკენ, საბაქოს დუქნებს რომ გასცილდებით, მალე მდ. ტეხურს დაუახლოვდებით. ამ მდინარის ხეობით უნდა იმგზავროთ სულ „ჩე გვალა“-ს (თეთრ-მთის) საავარაკო ადგილებამდის. გზა ხან ძთლად წყლის პირად მიდის, ხან მაღლა მთაზე ადის და იქიდან გადაჰყურებთ სადღაც დაბლა უფსკრულში ქვებში მოჩანჩქარე მდინარეს. ზოგან სულ მიგემალებათ და საკმაო მანძილის სიშორეზე სტოვებთ მდინარეს, მაგრამ რამდენისამე წუთის შემდეგ ისევ წყლის პირას მოექცევით და მის ნაპირით მიემგზავრებით, ან მორებისაგან გაკეთებულ ხიდით გადიხართ მდ. ტეხურს, რადგან გზა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ნაპირით მიდის. მდ. ტეხურზე 16 თუ 17 ასეთი ხიდი დავთვალეთ სანამ მიზანს მივაღწევდით.

რამდენსაც წინ მიიწევთ, გხვდებათ სულ ახალ-ახალი მთები. ეს მთები, ყველა საზაფხულო საბალახო მთებია, ხოლო მთის კალთები კი ძვირფასი ხე-ტყით არის შემოსილი. ჯერ გხვდებათ სხვა და სხვა ფოთლიანი, შემდეგ რაც უფრო მაღლა ადიხართ ფოთლიანი ხეები უთმობენ ალაგს კოკოჩნიანებს, მაგალ., ნაძვი, ფიჭვი და სხ. გული გიკვდება, რომ ეს ამოდენა წაქცეული გვები მუქთად იკარგება, უსარგებლოდ ლპება, ხოლო დაბლა სამეგრელო-იმერეთში უშეშობითა და უხე-ტყეობით სული ეხუთება ადამიანსა. მაგრამ უგზოობისა გამო კაცს ვერ უსარგებლნია ამ ხე-ტყით. მხოლოდ მეჩალვადრეებს ჩამოაქვთ ამ მთებიდან ფიჭვის ყავარი, რომელსაც ასაღებენ ადგილობრივ, ახალ-სენაკში, ნაოდალევში, ხონში და სხ. ყველა ამ საბალახო მთებზე ზაფხულობით მიერეკებიან თხა-ცხვარსა, ძროხებსა და ცხენებს. ერთი თუ ორი ისეთი საკლდიანი და ღრიანი მთები ვნახეთ, რომლებიც არჩვთა და ქურციკთა საცხოვრებლად თუ გამოდგებოდა.

სოფლის დატოვების შემდეგ ჩვენ პირველი ღამე მდ. ტეხურის პირად ნესტ. ნაჭყებიას სახლ-დუქანში გავატარეთ. აქ იმ მარჯვე ადგილებზე, სადაც მოაგარაკენი ღამე უნდა შეჩერდნენ, სოფლიდან ამოსულან მცხოვრებნი დროებით საცხოვრებლად და საზაფხულო სახლები გაუშენებიათ. და ასეთ სახლებში მგზავრებს ბინას აძლევენ განსაზღრულის ფასით. მასპინძელმა საკმაო ზრდილობიანად მიგვიღო. ვახშმად ტეხურის კალმახი, შემწვარი ქათამი ნიგვზის საწებლით, „ფქვილის“ ღომი და თეთრი ღვინო მოგვართვა, ცხენებსაც კაი ბალახი უშოვნა. და ყველა ამისათვის მეორე დილას ძალიან ზომიერი ფასი გადაგვახდევინა.

აქედან, 9 ივლისს, განვაგრძეთ მოგზაურობა, გზაზე მეორე, სამურზაყანოდან წარმოსული „მეჰავეთა“ ჯგუფი შემოგვიერთდა, ერთხანს ძალიან მხიარულად მივემგზავრებოდით: ხან ლაპარაკში ვერთობოდით, ხანკი სხვა და სხვა გვარი ბუნების სურათები გვხიბლავდა. მაგრამ მალე სამწუხაროდ ერთი ცხენი დაგვიდგა. და ამან ძრიელ დაგვაღონა. რადგან ცხენის დატოვება შეუძლებელი იყო და დანიშნულ ადგილს ვერ მივაღწევდით, იძულებული შევიქენით ღამე ტყეში გაგვეტარებინა. საბედნიეროდ ტყეში ერთი პატარა კარავი ვიპოვნეთ. იმის წინ გუზგუზა ცეცხლი გავაჩაღეთ (შეშას ვერ ვიშოვნიდით თუ!). ქალები (სამნი იყვნენ) და მათი მახლობელნი კარავში დაბინავდნენ. ჩვენ უზარმაზარი ფიჭვის ძირი, რომელსაც ჩვენსავით მრავალი მგზავრი მიეღო თავის ტოტებ ქვეშ, ავირჩიეთ. აქაც მეორე ცეცხლი გავაჩაღეთ. ხელ და ხელ „სამხედრო კაცის სიმარჯვით“ ვივახშმეთ. პური, ყველი, მთის ცივი წყალი და არაყი, ვისაც უნდოდა, აი მთელი ჩვენი ვახშამი. მერე გავშალეთ ბრეზენტები, ზედ დავაგეთ „რაც რამ გვებადა“, დავიხურეთ წამოღებული საბნები და მორფეოს თაყვანისცემას შევუდექით. რადგან ჩვენ ფიჭვნარში ვიყავით და ამ ფიჭვნარის მშვენიერ სურნელოვან ჰაერს ვსუნთქავდით, მინდვრად ხის ძირში წოლამ ჩვენზე ცუდი გავლენა არ იქონია.

მეორე დღეს ნაშუადღევისას მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. ახლა ორიოდე სიტყვა ამ ადგილებზედაც.

იქ, სადაც მადნეულიანი წყლებია და სადაც ხალხი ჩერდება საავარაკოდ, ეძახიან ხან ჩე გვალას, რაც მეგრულად ჰნიშნავს თეთრი მთას, თუმცა ამ სახელწოდების კარგი საბალახო მთა აქედან კაი მანძილზეა დაშორებული. მაგრამ, როგორც მითხრეს, მთელ ამ ადგილებს ჰქვიან თეთრი მთა და ამიტომ კერძოთ ამ საჰავო ადგილსაც თეთრ მთას ვეძახითო. ხან ეძახიან ამ სამკურნალო წყლებს ტეხურს, ტეხურის წყლებს, რადგან მდინარე ტეხური აქ მადნეულიან წყლებს ახლო ჩამოუდის და მისი მთავარი სათავეც აქედან ახლოს არის. სამკურნალო წყლებთან კი ჩამოდის მთის წყალი, რომელსაც დიდი ღელე (დიდი ღალი) ჰქვიან. ეს არე-მარე, ეს დიდი ღელეს ნაპირები მეტად მდიდარია მადნეულიანი წყლებით: ჯერ აღმოჩენილა სასმელი ორი საყურადღებო წყარო, ერთს ეძახიან რკინის წყალს, მეორეს სოდისას, თუმცა გემოთი ორივე ერთმანეთს ძრიელ წააგავს. რკინის წყლიდან სულ ახლო (რამდენიმე ათ საჟენზე) ამოჩუხჩუხებს ცივი გოგირდის წყალი. ამას რკინაც ურევია. აქ ხის აუზია გაკეთებული, ათბობენ გოგირდის წყალს და ისე ბანაობენ შიგ. აქვე ზევით (4—5 საჟენზე) არის ჩანჩქერი (განგებ გაკეთებულ „დუშს“ წააგავს) უბრალო თოვლის წყალთან გარეულ გოგირდის წყლისა. აქ სხვაგანაც არის ახლო-მახლო მადნეულიანი წყლები. მოაგარაკენი უფრო სოდისა და რკინის წყალს ხმარობენ სასმელად, მაგრამ ბევრი გოგირდის წყალსაც სვამს. ზოგიერთები უზომოდ ბევრს ხმარობენ ამ რკინის წყლებს დასალევად. მაგრამ არავინ არ იცის არგებს თუ ავნებს ამდენა წყალი მხმარებელს. ერთი სიტყვით, ტეხურის სათავე ანუ თეთრი მთა მეტად მდიდარია ყოველგვარი სამკურნალო წყლებით, მაგრამ ეს წყლები ჯერ მეცნიერულად გამოკვლეული არ არის.

ის ადგილი, სადაც წყლებია თითქმის ირგვლივ გარშემორტყმულია მაღალი მთებით. მთების კალთებზე ფიჭვნარია, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ სამკურნალო წყლების გარშემო უწყალოდ გაუჩეხიათ ფიჭვისა და ნაძვის ხეები, და არც ახლა აყრიან სიკეთეს. მოშორებული მთების მწვერვალები ზოგან კლდოვანია, ზოგან აჭრელებული, თოვლით მოსილი, სხვაგან ახლო-მახლო მთები საუკეთესო ბალახ-ყვავილებით მოხავერდებულია. მართლაც ამდენ მშვენიერს და სუნნელოვან ყვავილებს სხვაგან იშვიათად შეხვდება კაცი. საღამოობით „მოჰავენი“ ნაირ-ნაირის ყვავილებით ბრუნდებოდნენ სეირნობიდან. რკინის წყლის გვერდით გაყინულ თოვლზე რამდენიც გნებავთ შეგიძლიანთ ისეირნოთ მთელს სეზონში. თვით წყლებიდან, მართალია, მარტო გარშემორტყმულ მთებს შესცქერით, მაგრამ როცა გარემო ამართულ მთებზე ახვალთ მშვენიერი თვალწარმტაცი სანახაობა გადაგეშლებათ თვალწინ. ჩვენ ერთ დღეს გავისეირნეთ სვანეთის გარდასახედისკენ, გადავდექით მთის მწვერვალის სალს კლდეზე, გავიხედ-გამოვი... დეთ, მშვენიერი სანახაობა იყო. მ... გის ამ დიადმა სურათმა გამახს... შეგირდობას პოლ. კვიცარიძის ხე... ში ნასწავლი გრ. ორბელიანის ... ქსი—„კავკასიონის მთები“. გან... კვიცარიძე, ქართული სიტყვიერ... დიდი მოსიყვარულე და ღრმა მ... დნე ქართული ენისა (ამას მისი გრ... მატიკა-სწორ-მეტყველებაც ამტ... ცებს), ამ ლექსის ახსნა-განმარტე... ში გვეუბნებოდა ხოლმე: ამ ლე... ში გრ. ორბელიანი მთების სურა... მშვენიერად ჰხატავს, უკეთ, ვი... ვინმე რუსის პოეტებიო. მართალ... არის. აბა დააკვირდით:

„მზე ჩაესვენა, მარამა მის შ...
ჯერედ კავკ...
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქ...
მამას მოხუც...
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ, ...
თამდინ აყუდებულ...
სხედან, ვით დევნი, სპეტაკის ...
ნუღ-გვირგვინით შემკულ...
მათ კლდოვან გვერდთა შ...
ღრუბელნი ზედ დასწოლ...
და მრისხანებით ქვეყანას წარ...
ნითა ემუქრებ...
გაზაფხულისა ხელითა ტყე შ...
სილი სიმწვან...
მთებისა კალთებს შეამკობს სატ...
სუნნელთა მოფენ...
წყალნი, მთით დაქანებულნი, ...
მასებრ უფსკრულს სცვივ...
თერგი რბის, თერგი ღრიალე...
კლდენი ბანს ეუბნებიან“.

მთების შემხედვარემ ვერ მოვ... თმინე და, რადგან ზეპირად მახსოვ... და, ეს ლექსი ხმა-მაღლა წავიკითხ... ქართულ ი მწერლობის მოყვარე მ... არს. ხვინგიას თხოვნით ხელ-მე... რედ განვიმეორე და ახლა, რადგა... ტეხური სამ-მარცვლოვანი სიტყვა... თერგის ალაგას **ხოხბი** ჩავურთევ...

*) იხ. „სახალ. გაზ.“ № 118.

ტრიბუნაზე ადის. მალინოვსკი მაინც განაგრძობს კითხვას. ბოქაული რაღაცას უხსნის. მალინოვსკი ტრიბუნას სტოვებს.

**გეგეჭკორმა** მოახსენა შეკითხვების კომისიის დადგენილება მინისტრის საბჭოს წევრისა პფაფიუსისა და რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შჩერბაკოვის უკანონო მოქმედების გამო მინისტრისადმი შეკითხვის შესახებ. კომისიამ ამ პირთა მოქმედება უკანონოდ სცნო და წინადადებას აძლევს სათათბიროს შეკითხვით მიჰმართონ მინისტრს: აღდგენილია თუ არა წინანდელი კანონი, რომ ბალტიის ზღვის კიდის მხარეში პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდეს, რომელიც დაარღვია პფაფიუსმა და განკარგულება სისრულეში მოიყვანა შჩერბაკოვმა.

სიტყვა მიეცა პეტროვსკის, რომელმაც განაგრძო უკიდურეს მემარცხენეთა განცხადების წაკითხვა, მაგრამ პირველი სიტყვების წარმოთქმისათანავე თავმჯდომარემ შეაწყვეტინა. ორატორი ტრიბუნას თავს ანებებს.

**ლევაშოვი** ამტკიცებს, რომ შჩერბაკოვი და პფაფიუს კარგად მოიქცნენ, რათა უკიდურესი ზომები იყო საჭირო.

**ტულიაკოვი** შეეცადა შრომის ჯგუფისა და ს.-დემოკრატების განცხადების წაკითხვას; ამასვე ცდილობს სკობელევიც; ორივეს სიტყვას ნებას არ აძლევენ.

შემდეგ ლაპარაკობს **მეიენდორფი** ლევაშოვის წინააღმდეგ.

შემდეგი კრება 8 მაისს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ცნობილ ქველმოქმედთ ძმ. ზუბალაშვილებმა** ქალაქის გამგეობას თავიანთ რწმუნებულის პირით სთხოვეს, მიჰყიდოს მათ ტფ. საბაჟოს მახლობლად 700 ოთხკუთხი საჟენი მიწა სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის ასაშენებლად. ეს გამოწვეულია იმით, რომ სომეხ და ქართველ კათოლიკეთა შორის დავაა ატეხილი კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის გამო, რომელიც შუა ბაზარში მდებარეობს. ძმ. ზუბალაშვილებს განზრახვა აქვთ, მიძინების ეკლესია ქართველ კათოლიკეთათვის დარჩეს, ხოლო სომეხ კათოლიკეთათვის საკუთარი შენობა აგონ საბაჟოსთან.

✦ **ბიბლიოთეკა.** გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობას, რათა წინარეხში (გორის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნას დ. დ. ხმალაძის პასუხისმგებლობით.

✦ **კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა** მთავარი მეაბრეშუმე ი. გ. [illegible]უთათელაძე ტფ. გუბერნიაში გაგზავნა საინსტრუქტორო მოქმედებისთვის.

✦ **მოსკოვში არსებულ ქართულ მეცნიერების,** ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოების საჯარო კრებაზე, რომელიც მოხდა 30 აპრილს სასინოდო სასწავლებლის დარბაზში დ. არაყიშვილის თავმჯდომარეობით **გ. ა. გურკომ** წაიკითხა მოხსენება: **„საქართველოს კულტურა და მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან“.** მოხსენებაში სრულებით ახალი აზრები იყო გამოთქმული, ღრმად დასაბუთებული და მეცნიერულს მეთოდით დამუშავებული. აუარებლად შეკრებილ მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ლექტორს ოვაციებით მიეგებნენ. მოსწავლე ქართველ ახალგაზდობისაგან ლექტორთან დეპუტაცია იყო, რომელმაც ღრმა მადლობა გადაუხადა.

✦ ტფილისს ჩამოვიდა **მფრინავი ნაზარიანცი,** რომელიც კვირას დიდუბის მოედანზე აპირებს აფრენას.

✦ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი საბჭოსაგან ორის თვის დასვენებას თხოულობს. ამ საკითხს საბჭო მომავალ ორშაბათს განიხილავს. ტფ. გუბერნატორი შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით ტფ. ქალაქის თვითმმართველობას შეეკითხა, რამდენად სასურველია ქალაქის მოურავის ამხანაგის თანამდებობის დაარსება.

✦ ბოდბის დედათა მონასტერი დღეს თვის არსებობის 25 წ. იუბილეს დღესასწაულობს.

✦ **სეირნობა.** გუბერნატორმა ნება დართო პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას, რათა 11 მაისს მუშტაიდში სეირნობა გამართოს თვის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

✦ **გრ. ბურჭულაძე,** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების ბიბლიოთეკა-სკოლების ხელმძღვანელ-მეთვალყურე, რომელიც კახეთს იყო წასული, უკვე დაბრუნდა ტფილისს.

✦ რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული ქართული წიგნი **„ასტრონომია“ ივ. გომართელისა.** წიგნში 61 გვერდია ჩართულია 19 სურათი, სუფთად არის გამოცემული და ღირს **ერთ აბაზად.**

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** სარევიზიო კომისიის მეოთხე სექციის კრება 11 მაისს მოხდება ს. თ. ქრელაშვილის თავმჯდომარეობით.

### კავკასია

✦ აჭარულმა ქართულ სცენის მოყვარეთა წრემ ბ-ნ ქუმსიაშვილის ნაცვლად რეჟისორებად აირჩია ახალგაზრდა მხატვარი ა. პ. პიტახია და კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელი ვ. ი. ნუცუბიძე.

✦ ქართულ სკოლაში უფროს განყოფილების მოწაფეთა გამოცდა თანახმად თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის განკარგულებისა, 19 21 და 23-ს მაისს მოხდება. ამ სკოლის მოწაფეებმა ეგზამენი უნდა დაიჭირონ კათოლიკების ურიების და ნოქართა საზოგადოების სკოლათა მოწაფეებთან ერთად. საეგზამენო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ნიკოლოზის სახელობის საქალაქო სკოლის ინსპექტორი თ. რაზდორსკი.

✦ მთავარ გამგეობის მიერ კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებლის თავისუფალი ადგილზე არჩეულ მასწავლებელ ქ-ნ გარსიაშვილს სასახალხო სკოლების დირექტორმა ნება დართო დროებით იმეცადინოს სკოლაში.

### სოფლად.

✦ კაპრეთსა, ნანიანსა და ჯიმითის სოფლების თხოვნით დაარსდა სამივე სოფლისათვის ს. ნანიანში საკრედიტო ამხანაგობა. ამოირჩიეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

✦ **ს. მერეთი** (გორის მაზრა). განსვენებულის მწერლის **ანტონ ფურცელაძის** ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზედ ადგილობრივ მღვდლის ფ. უნაფქოშვილის მიერ იქმნა გადახდილი მაისის 4. დაესწრო მერეთის საზოგადოება.

# ტირიფონის გარშემო

დამფასებელი კომისია 6 მაისს ესტუმრა სადგურ მეტეხს, სადაც დაბარებული იყვნენ აშურიანისა და სხვა მომიჯნავე მამულის მეპატრონენი. უმეტესი ნაწილი ამ მემამულეებისა არ გამოცხადდნენ, რადგან ისინი არ იყვნენ შეტყობინებული კომისიის მოსვლის შესახებ. კომისიის წევრები ადმინისტრაციის ყურადღებულობას აწერდნენ. გამოცხადდნენ მხოლოდ მანთაშევის მოურავი, პოლკოვნიკი ამილახვარი და შემთხვევით მეტეხელები. კომისიამ განუცხადა, რომ მთავრობას სჭირია მეორე კორპუსის პოლიგონად მიწები და ამ მოხაზულობაში მოჰყვა თქვენი მამულებიცაო. დაწყებული გრაკლიდან ვიდრე კოწახურის ხიდამდე (კასპს ახლოა), რაც მტკვრის გამოღმა მამულებია უნდა დაეთმოს მომავალ პოლიგონს. ეს საქმე გადაწყვეტილია და თქვენც გეკითხებით, რას თხოულობთ თქვენს მამულშიო? მანთაშევის წარმომადგენელი სთხოვდა კომისიის თავმჯდომარე ღენერალს, რათა ნება მიეცათ მამულში აეშენებინა ცემენტის ქარხანა, რაზედაც მათ ცივი უარი მიიღეს იმ მოსაზრებით, რომ ეს მამული მთლად პოლიგონში შედის და ვერავითარ შენობების აგების ნებას ვერ მოგცემთო. „თუ გნებავთ, მიჰმართა ღენერალმა, აი პოლკოვნიკი ამილახვარი მოგყიდით თქვენ მომიჯნავე მამულს, რომელიც კასპს ახლო არის!“ მანთაშევის წარმომადგენლებმა მიიღეს ეს მხედველობაში და აქვე შეუდგნენ საქმეს პოლკოვნიკ ამილახვართან. შეეკითხნენ მეტეხელებს ჰყიდით თუ არა თქვენ მამულსაო?

— შენი ჭირიმე აშურიანი ჩვენი მაცხოვრებელია: მანდედან გვაქვს საზრდო, მანდედან ვცხოვრობთ. მანდ ერთი პატარა წერეთლის წილი, 147 დესეტინა, დიდის წვალებით შევისყიდეთ. გავიყიდეთ, ყველაფერი დავაგირავეთ და შევისყიდეთ დიდის ვაითა და ვაგლახით და მაგ ჩვენ მამულს, როგორ გავყიდით! შეჩიოდნენ მეტეხელები კომისიას, ეგ მამული და აშურიანი არის ჩვენი სულის ჩამდგმელი. მაგის გაყიდვით ჩვენ სული ამოგვცვივა და ცოცხლებს ყელები დაგვეჭრება!

— სად წავიდეთ, ჩიოდა მეორე გლეხი, გამა სახნავი მიწები არა გვაქვს, აქ გამოვდივართ, ვხნავთ და იმითი ვიდგამთ სულს და ეხლა ეგ რომ გამოგვეცალოს, ხომ შიმშილით ამოვწყდებით. თუ გინდ დიდი ფულიც შემოგვაძლიოთ, აქ ვერაფერ მამულს შევიძენთ.

— ჩვენი მამა-პაპანი აქა ხნავდნენ, სთესავდნენ, სხვა არაფერი გვქონდა და ეხლა ეგ რომ წაგვერთვას, ხომ პირდაპირ გვირჩევნიან ყველა შევიკრიფნეთ და წყალში გადავცვივდეთ.

— ეგებ თქვენ როგორმე გვიშველოთ, სთხოვდნენ სიმპატიურ კეთილი სახის, კარგა შეჭაღარავებულ ღენერალს, ეგებ როგორმე გვიშველოთ და ამ განსაცდელისაგან გადაგვარჩინოთ.

— ეგ ლაპარაკი მეტია! რაკი საკითხი გადაწყვეტილია თქვენ უნდა სთქვათ ერთი: ჰყიდით თუ არა? და თუ ჰყიდით რა ფასში“? შეეკითხა ღენერალი.

— ჩვენ ე მაგ გაყიდვით ყელებს გამოვიჭრით, შენი ჭირიმე, და აბა როგორ გამოვიჭრით ჩვენი ხელით! არ გვინდა, არა ვყიდით!

— კარგი, სულ ერთია, ჰყიდით თუ არა მხოლოდ მთავრობა თავისას გაიყვანს და თუ გსურთ ფასები წარმოადგინეთ, რომ ვიცოდეთ თქვენი აზრი. ჩვენ დესეტინაში 150 მან. გაძლევთ რას იტყვით ამაზე? ან თქვენ როცა იყიდეთ წერეთლისაგან ეს მამული, რა მიეცით დესეტინაში?

— ჩვენ გაძლევთ ჩვენი გამოანგარიშებით 147 დესეტინა მიწაში 12,350 მან.“ სთქვა ერთმა წევრმა.

— თქვენ აკი ბრძანეთ, რომ დესეტინაში თხუთმეტ თუმანს გაძლევთო; მანდ რვა თუმანი და სამი მანეთი გამოდის.

— ეგ იმიტომ, რომ ყველგან მიწა ხომ ერთნაირი არ არის. ჩვენ დაყოფილი გვაქვს როთხ კატეგორიათ: თხუთმეტ თუმანს ვაძლევთ რკინის გზის ქვემო ნაწილში, 75 მან. ზემო ნაწილში, კიდევ ცოტა ზემო 40 მან. და გორაკიანში 15 მან.

— შე დალოცვილო, როცა ჩვენ ვიყიდეთ წერეთლისაგან ის არ გვეკითხებოდა ეს კარგია და ეს ცუდია. აი ამდენი მომეცით და სხვა არაფერიო.

— ბარნაბიანთკარელებმა 120 მან. იყიდეს დესეტინა გიორგი ამილახვრისაგან. აქ ღრეც მოჰყვა და გორაკებიცა. ეხლა ისინი რამდენს იზარალებენ თქვენის შეფასებით. ჩვენ ხომ ვიღუპებით, რაც მიგვიცია დესეტინაში, იმასაც ვერ ავინაზღაურებთ. რა დაგვიშავებია ისეთი, რომ ესე გვაზარალებთ?

— დესეტინა თერთმეტი თუმანი დაგვიჯდა და რვა თუმნად ხომ ყელები დაგვეჭრა. ჯერ ხომ ერთი იმით ვიღუპებით, რომ მიწას გვართმევთ და მეორე ასე ნაკლები ფასით ხომ ბოლოს გვიღებთ! ესე რომ შენი ჭირიმე, თანახმა არა ვართ.

— ჩვენ გირჩევთ ეხლავე მოგვირიგდეთ. ჩვენ შემოვდივართ თქვენს მდგომარეობაში, ფასს ბევრს გაძლევთ. ათ თუმნად კახეთში ისეთ მამულს იყიდით რომ ათასჯერ ემჯობინება თქვენ მიწებს.

— ის კახეთია შენი ჭირიმე, აქ საშინელი მიწის სივიწროვეა და იმიტომ გვიღირს ესე ძვირად.

— არ დავიჯერებ რომ თქვენ აგებდეთ რასმე ამ გაყიდვაზედ: აი ეხლა მანთაშევს მოურიგდით და იმან დესეტინაში 18 მან. მოიგო. თქვენიც ესე იქნება.

— არა შენი ჭირიმე, ის სხვაა და ჩვენ სხვა ვართ. ჩვენი ანგარიშით დიდ ზარალში ვართ.

ამისთანავე ბედი ხვდათ ბარნაბიანთკარელებს, სასირელებს, ყადაჯელებს დოისელებს. მათი მდგომარეობა უარესია ტირიფონელებზედ, რადგან ისინი მაინც სადმე დასახლდებიან და სახნავი მიწა ცოტათ თუ ბევრად გახვდებათ. ესენი ჩალა და მიწა გამოცლილები შორიდან უნდა გასცქეროდნენ იმ მიწებს, რომელნიც საუკუნოთ ასაზრდოებდა და ახლა მომავალში ფეხის გადადგმაც კი აეკრძალებათ, და ისინი გაიძახიან: „არ ვყიდით, ნუ გვღუპავთ! ყელებს ნუ გვჭრით“. **თრითინა.**

# საკოოპერაციო კრება

გაზეთების ცნობით, მიმდინარე წლის დამლევში,—14-20 დეკ.—ქ. ტფილისში მოწვეული იქნება კავკასიის მეორე საკოოპერაციო კრება. იმისთვის, ვინც ჩვენი ქვეყნის კოოპერაციის ზრდა-განვითარების საქმეს ყურადღებას აქცევს და მისი ავ-კარგით დაინტერესებულია, სიტყვა „მეორე“ საგულისხმიეროა და დიდ-მნიშვნელოვანი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, ეს მეორე კრება იქნება ჩვენში (პირველი კრება 1911 წ. იყო). ის ფაქტი, რომ კრების მოწვევის საჭიროებაა აღიარებულია, თავის თავად გვიმტკიცებს, რომ კოოპერაციამ, უკვე [illegible] ცხოვრებაში არა ერთი და ორი საკითხი, რომელთა თეორიულად და პრაქტიკულად [illegible] მის უახლოეს [illegible] აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. კოოპერაცია ჩვენში დღითი-დღე იზრდება. თან და თან ფართოვდება ფარგლები მისი მოქმედებისა. კოოპერაცია მძლავრი საზოგადოებრივი დაწყებულებაა, მასში დიადი მიზნებია ჩასახული... მიზნები, რომელთა განხორციელება ბრწყინვალე მომავლისაკენ გვიკაფავს გზას. ამისათვის ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია შეძლებისადაგვარად ხელი შეუწყოს მის სასურველ დონეზე დაყენებას.

რა თქმა უნდა, არსებული ფორმები კოოპერაციისა (კრედიტული) არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ადრე თუ გვიან მათ, აუცილებლად მოჰყვება სხვა, უფრო დემოკრატიული, უფრო ხელ-მისაწვდომი და პრაქტიკული ორგანიზაციები და ხელი-ხელ ჩაჰკიდებულნი შექმნიან უკეთეს ცხოვრების პირობებს. ხოლო ამისათვის საჭიროა საქმიანობა, შეთანხმებული და ენერგიული მოქმედება, გულწრფელი სიყვარული, გულ-ახდილი და მიუდგომელი აღნიშვნა ამ საქმის როგორც კარგი, ისე ცუდ მხარეებისა...

მომავალმა კრებამ, ჩვენის აზრით, უმთავრესად, თამამად უნდა გაუსვას ხაზი ჩვენი ქვეყნის კოოპერაციის სპეციფიურ მხარეებს, გაბედულად სთქვას, რომ რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის კოოპერატივების ერთნაირი პირობების დაქვემდებარება უხერხულია, მავნებელი და სხვა.

პროგრამა ხსენებული კრებისა ფართეა და შინაარსიანი, კოოპერაციის თითქმის ყველა მხარეზეა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. რომ თვით კრებამ, ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ-მხრივ აწონ-დაწონოს და შესაფერი დადგენილება გამოიტანოს პროგრამაში აღნუსხული კითხვების შესახებ, საჭიროა თვითეულ დამსწრეთაგანმა, ასე თუ ისე მომზადებულად შესდგას ფეხი მის დარბაზში. დეკემბრამდი შვიდი თვეა, მაშასადამე დროც გვაქ საკმაო და თუ ხელს გავანძრევთ,—მასალებიც ხელთა აქვთ. სასურველია ადგილობრივი მოღვაწეთა (გამგეობის და საბჭოს წევრების) აზრის შეტყობა. ჩვენის აზრით უკანასკნელი არაფერ საძნელოს არ წარმოადგენს, რადგანაც, ღვთით, ჟურნალ-გაზეთები არ გვაკლია. რედაქციის კარები ღიაა. ნუ შევკრთებით და ნუ შეუშინდებით იმას, რომ ლიტერატორები და პუბლიცისტები არა ვართ, ლამაზად ვერ აღვბეჭდავთ ჩვენს აზრებს ქაღალდზე. ვეცადოთ გამოვთქვათ ჩვენი აზრი ფხიზლად და გასაგებად, თუნდაც უშნო იყონ გარეგნულად, და ამით, მერწმუნეთ, ბევრი გაკეთდება...

ვუსურვებ მომავალ კრებას ნაყოფიერ შრომას ქვეყნის სასარგებლოდ. **დ. ც.**

# მუშათა ცხოვრება

**ტფ. რკ. გზის საქონლის სად. დამტვირთავ-გადმომტვირთავ მუშათა გაფიცვის გამო.**

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ მუშათა გაფიცვა მათი სრულის დამარცხებით დამთავრდა.

დამარცხებულმა მუშებმა თავი მოიხარეს უფროსების წინაშე და სთხოვეს უკანვე მიღება, მაგრამ ამაოთ. იქაური ადგილობრივი უფროსები ერთი ერთ-მანეთს უთითებენ და ეუბნებიან მუშებს: „ეს ჩემი საქმე არ არის, ამისთან-, იმასთან მიდით“, ისიც ამგვარივე პასუხით იტუმრებს და უთითებს კიდევ [illegible]ზე; ასე რომ, მუშას ოთხ-ხუთ სხვა და სხვა პირებთან უხდება თხოვნით მიმართვა და ასე ამ გვარად აზრ არეული მუშა ბრუნდება შინ. არსაიდან იმედის მიმცემი სიტყვა არ ესმისათ. ამ რამდენიმეს ხნის წინად დეპუტატ გელოვანის შუამდგომლობის შემდეგ რამდენიმე (რიცხვით 120 კაცამდის), დაჰპირდნენ მიღებას სამუშევარზე და დრო გამოშვებით, გელოვანს კი მთელი მუშების მიღება შეჰპირებოდნენ), და დანარჩენს რიცხვით 140 კაცამდის გადაჭრილი უარი უთხრეს, უარი ამ გვარი მიზეზებით: „ჩვენ გვაქვს ამ 140 კაცის სია (პირველ ხანებში 60 კაცის იყო, მხოლოდ თანდათან მატულობს) ერთი წყება მათგანი არის წითელი კარანდაშით დახაზული და ამათ ბრალდებათ გაფიცვის მოთავეობა, მეორეები კი მწვანე კარანდაშით არიან დახაზულნი, ამათ კი მუშების გზაში დაბრკოლება და სამუშაოზე გამოსვლის დაშლა ბრალდებათ და ამ მუშების დაყენება არ შეგვიძლიანო“. ამ გვარი პასუხით გამოყარეს თითქმის მთელი მუშები ქუჩაში.

ამ ქუჩაში დარჩენილ მუშებში დიდი ნივთიერი გაჭირვებაა. საით წავიდნენ არ იციან, სოფელში შიმშილობაა, შინაურები შიმშილით უწუხდებათ და აქ სამუშევარზე აღარ უშვებენ, სადაც მთელი თავისი ძალ-ღონე ამ ორი წლის განმავლობაში [illegible].

რამდენიმე ვაჟ-ბატონს ქრთამის შოვნის [illegible] ასტეხიათ გამოსულან აგენტებათ მუშებში და ეუბნებიან:

„ვისაც წითელი ნიშანი აქვს თუმანი მოგვცეს და ვისაც მწვანე ხუთი მანეთი და მიგიღებინებთ სამუშავარზეო“. რამოდენიმესაგან კიდეც აუღიათ ამ ვაჟბატონებს. ერთი მუშისათვის წითელი თუმნის აღების შემდეგ დანაპირები არ შეუსრულებიათ, რომელსაც მოწმეები ჰყოლია ქრთამის მიცემის დროს და ეს ამბავი წერილობითი თხოვნით აცნობა ადგილობრივ უფროსებს, რომელთაგან ჯერ არაფერი ზომები არ არის მიღებული. მაშინ კი დაპირებოდნენ სასტიკ ზომების მიღებას. ეს ვაჟ-ბატონები განაგრძობენ არხეინათ მუშაობას. მუშებს ახლა კი დაებადათ ეჭვი რომ, მათი დამღუპველნი ისინი უნდა იყვნენ, რადგან ადრევე უფიქრიათ ჯიბეების შესქელება. აი ეს არის ამ მუშების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით. ეს მუშები კი თითქმის მთლად ქუთაისის გუბერნიიდან არიან, სადაც დიდი შიმშილობა მძვინვარებს.

**მახლობელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 11 მაისს, **ქართულ თეატრში** მსახიობთა მიერ ავლაბრის წრის მთელი დასის დახმარებით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა **ან. ფურცელაძისა „დიდი მოურავი.“**

**„ახალი კლუბი“. ევა ბრიუნელის კონცერტი.** შარშან ქ-ნ ბრიუნელის ორი კონცერტი მოვისმინეთ. ორივეჯერ ცხადი იყო ყველასთვის, რომ ქ-ნ ბრიუნელს სრულებით არ შესწევს ძალა არამც თუ სიმფონიურსა, არამედ უბრალო ორკესტრსაც უხელმძღვანელოს. ტფილისის არც ერთ გაზეთში არა ყოფილა მის შესახებ დადებითი რეცენზია. „ზაკავკაზიეში“ რეცენზენტი „ვ. დ.“ კი საფუძვლიანად ეჭვობდა იმის შესახებ, რომ ქ-ნი ბრიუნელი სერიოზული მუსიკალური ცოდნით იყოს აღჭურვილი (პრაქტიკაზე ხომ ლაპარაკიც მეტია). მიუხედავად იმისა, არ ვიცით რა მოსაზრებით, „ახალმა კლუბმა“ იგი მიიწვია დირიჟორად, იმ დროს როდესაც იქ უკვე სამი დირიჟორი იყო. ისეთი დახელოვნებული დირიჟორი როგორიც ივ. ფალიაშვილია, მისი თანაშემწე პრესმანი და კაფეშანტანური ორკესტრის (რუმინელების მგონი) დირიჟორი. თუ მამასახლისთა საბჭოს ეგონა, რომ ქ-ნი ბრიუნელი ხალხს მიიზიდავდა —ეს შეცდარი აზრია, რადგანაც ცოტად თუ ბევრად გემოვნება განვითარებული მემუსიკე ქ-ნ ბრიუნელის კონცერტს არ მოისმენს. საღამოს გეგმა უგემურადაც და ზერელედაც იყო შედგენილი. ბერლიოზის „ფაუსტის დაღუპვა“ თავიდან ბოლომდე ერთი ტემპით და ერთფეროვნადაც ჩატარა. მეორე ნაწილი „სილფიდების ცეკვა“ მეტად ნაზი და კეკლუცია. ბრიუნელმა კი იგი რახა-რუხად გადააქცია, ბეტჰოვენის „ეგმონტის“ შესრულების დროს დირიჟორი ორჯერ კინაღამ დაშორდა ორკესტრს და სრულებით არია ტაქტი მხოლოდ ორკესტრანტების გამოცდილებამ და კოპელნიცკის თავის დახმარებამ ააცდინა იგი სირცხვილს. ერთი სიტყვით ბრიუნელი თავისთვის აქნევს ხელებს და ორკესტრი კი სრულებით თავისთვის უკრავს თავისუფლად — უდირიჟოროდ. ხალხი (ძლიერ ცოტად შეგროვილი) მხურვალე ტაშს უკრავდა. მაგრამ იმავე დროს იმალლაც ხარხარებდა. ბურებული ყვავილები მიართვეს; ლენტზე ეწერა: „ჩრდილოეთელ თაყვანისმცემლებისაგან“, „სამხრეთელ თაყვანისმცემელთაგან“, „ტფილისელ საზოგადოებისაგან“ და სხ. მაგრამ „ბოროტი ენები“ ამბობდნენ, რომ ეს თაყვანისმცემლები—ისევ ერთი ქალისაგან შესდგება... თავისი ნებაა: რეკლამა ვისაც სურს—იმან გაიკეთოს; მაგრამ კლუბმა ხელი არ უნდა შეუწყოს ამ რეკლამას. ხალხის მუსიკალურ განვითარება მას არ უნდა ანაცვალოს. **მელანი.**

---

გადასახედავიდან ჩვენ სვანეთის მთებსა და ეკლესიას ვხედავდით. ჩემის აზრით ერთი ნაკლულევანება აქვს ამ ადგილს: სწორე და დაკეთებული ადგილით ღარიბია ამ სამკურნალო წყლების არე-მარე. ცოტა ასეთი ადგილია მხოლოდ ზედ [...]წყაროსთან. და კიდევ ამ [...]აგას ერთმანეთზეა კარვები მიშენებული, ამიტომაც ამ ქუჩას ხუმ[...]ობით ბაზაზხანას ეძახდნენ. ჰაერით ერთ სუფთა და მაღალი ადგილებია, მაგრამ იქ ბინები სულ ფერდობზე უნდა გაიკეთო და [...]დაბ—იარო წყლებამდის. ნახევა[...] ვერსის მანძილზე კი იპოვება [...]მოთ ვაკე და გამოსადეგი ადგილები.

მოაგარაკეთათვის აქ ყოველ ზაფხულობით აკეთებენ ან ფიცრის ან [...]ის კარვებს ე. ი. კედლის მაგივრად ფიჩხის ყავარია აქედილი, ზევიც ყავრით გადახურული. კარებიც [...]თი ყავრისაგანაა გაკეთებული. ამ [...]ობებს, რასაკვირველია არც იატაკი, არც ჭერი არა აქვს. თუმცა ასეთი უბრალო ბინებია, მაინც [...]ვენ ცივდება აქ, საუ ურიგოთ და [...] დროს არ იბანავა ცივ ჩანჩქერ წყალში. ასეთ კარავში დაეტე[...]ოთხი კაცი და ღებულობენ ქირას 14—18 მან. მთელი სეზონის განმავლობაში. წყლებს სხვა არავითარი გადასახადი არ აძევს. სანოვაგის ფასები ასეთი იყო შარშან თეთრ[...]: ნოთლი რძე 6 კაპ. (მოჰავე[...]ობდნენ, რომ მწყემსები რძეში წყალს ურევენო), ხორცი ძროხისა [...]ვიდი შაური, ფუთი სიმინდის ფქვილი 2 მან., პური (თორნის გოგრები) გირვანქა 18—20 კაპ. (თითო [...]ს შაურად ჰყიდდენ, 33½ ანუ [...]ჯი ერთ გირვანქას იწონიდა), [...]ლი გირვანქა დაახლოებით აბაზი; კრავი სამმანეთიდან ზევით, თიკანი 1 მ. 60 კაპ. და ზევით. მაშასადამე გარდა პურისა დ სიმინდის ფქვილისა ძვირი არაფერი არ არის.

საზოგადოდ გზები ამ სამკურნალო წყლებამდის გვარიანია: მოიჯარადრენი ყოველწლობით შეაკეთებენ ხოლმე. ქალებიც საქალებო უნაგირზე მგზავრობენ დარში საკმაოდ თავისუფლად, მხოლოდ აქა-იქ შეხვდებათ საშიში გზები, სადაც კაცი უნდა ჩამოხტეს ცხენიდან. მართალია, ვისაც სამეგრელო-აფხაზეთის გზებზე არ უვლია და გლახა გზებზე არ არის მიჩვეული იმას ეს გზები ვერაფრად მოეწონება... ტეხურიდან 4—5 საათის სასიარულო მანძილზე არის მეორე საგარაკო ადგილი დებარდე, ჩვენ ეს არ გვინახავს, იქაურ რკინის წყალს აქებენ, მაგრამ ჰავას ვერ უქებენ ლებარდეს. ყველა ეს საგარაკო ადგილები თ. თ. დადიანების საკუთრებაა (აქ სამეგრელოს თავადის მთებს სადადიანოს (სადადიოს) უხმობენ, დანარჩენ დადიანებისას საბატონიშვილოს, თითქოს ესენიც დადიანები არ იყვნენ). თ. თ. დადიანნი ამ მთებსა და სამკურნალო წყლებს იჯარით აძლევენ. შარშან ჩე-გვალა (თეთრი მთა) ვინმე ნაჭყებიას ჰქონდა აღებული. და ბოლოს არ შეგვიძლიან არ ვსთქვათ რომ ვერც მოიჯარადრენი, ვერც აქაური მწყემსები და მუშები (მოხუცთა გამოკლებით) ვერ დაიკვეხნიან დარბაისლობითა და იმერული ზრდილობით. ხშირად ცდილობენ ცოტა გარჯა-გასავლით, ხშირად მიტყუებითაც მეტი ფული იშოვნონ. ქალაქურ ცხოვრებას და ბინებს დაჩვეულ ადამიანს აქ ყოფნა გაუჭირდება. არავითარი კულტურული გასართობები აქ არ მოიპოვება, არც წარმოდგენები იმართება, არც ჟურნალგაზეთები მოდის, თუ შემთხვევით ვინმემ არ ამოიტანა. სამაგიეროდ ბანქოსა და ნარდზე მთელ დღეებს ალამებენ და ღამეებს ათენებენ. სამხიარულოდ, თუმცა კი იშოვნება, ღვინოს მაგრე არ ეტანებიან. ან რა საჭიროა ასეთ წყლებთან! მძიმე ავადმყოფთათვისაც ვერ არის ეს ადგილი გამოსადეგი, რადგან ექიმიც არ არის აქ ყოველ წლობით. აქ ერთი ფერშალი თავის სამგზავრო აფთიაქით ამოდის ხოლმე. ის დიდ დახმარებას აძლევს მოსულ ხალხს. მაგრამ დამპალ ციებით (მალარიით) დასუსტებულ და სოფლურ ცხოვრებას მიჩვეულთათვის ძვირფასი რამ არის ეს საგარაკო ადგილი. აკი ამიტომაც, როგორც მითხრეს, განსვ. ზუგდიდის მაზრის ექიმი პანიევი თეთრ მთისაკენ მიერეკებოდა ყველა ასეთ ავადმყოფებს ზუგდიდის მაზრიდან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტეხურის საგარაკო ადგილებს კარგი მომავალ აქვს. თვით მოაგარაკეებმა ცოტა მეტი კულტურული ელფერი უნდა შეიტანონ აქაურ ცხოვრებაში. აქ რომ ისეთი გზები, ბინები და დაწყობილება იყოს, როგორც არის თუნდ ბახმაროზე, მაშინ თეთრი მთის გარშემო მდებარე საგარაკო ადგილები თითქმის პირველხარისხოვან კურორტებს გაუტოლდებოდა.

ფრიად საჭიროა, დაარსებოდეს რამე კერძო ამხანაგობა ტეხურის ან სხვა რამე სახელწოდებით, რომელსაც მიზნად ექნება ყოვლის მხრით მოწყობა ხსენებულ სამკურნალო წყლებისა. ასეთ ამხანაგობის დაარსება დიდად სასარგებლო იქნებოდა, როგორც ამ წყლებისა და ადგილების პატრონ-მემამულეთათვის, ისე თვით საგარაკოდ მოსიარულე ხალხისათვის. აკი ბახმაროს მოსაწყობადაც არ სებობს საზოგადოება.

მაშ ვუსურვოთ წინსვლა და წარმატება ჩეგვალასა და ლებარდეს.

**პ. ჭ—ა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სერბიის მუშათა პარტიის ყრილობა

ამ ცოტა ხანში, სერბიის დედა ქალაქში, ბელგრადში გაიმართა ყრილობა პირველად ომის შემდეგ სერბიის მუშათა პარტიისა. თავი მოიყარა 128 დელეგატმა, მათ შორის იყო სამი წარმომადგენელი ახლად დაპყრობილ ოლქებისა.

ამ ყრილობამ ცხადჰყო თუ რა მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული სერბიის პროლეტარიატის ორგანიზაცია.

ყრილობა გახსნა პარტიის მდივანმა, მუშათა მოძრაობის ნაცადმა მებრძოლმა ლაპჩევიჩმა. მას ამას წინად გადაწყვეტილი ჰქონდა 20 წლის ციხე, მაგრამ ამნისტიით ეპატივა სასჯელი. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს კაშანიჩი, სერბიის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც პარტიის საქმეებს ალევს მთელ თავის ძალ-ღონეს. შემდეგ დაიწყო მისალმების დეპეშებისა და წერილების კითხვა. ყრილობას მიესალმნენ ავსტრიის დელეგატი, ჰუნგრეთისა, ჩეხიისა, ბულგარეთისა და სხვანი. როდესაც ტრიბუნაზე ავიდა ბულგარეთის დელეგატი საკაზოვი, რომელიც სალამს უთვლიდა ბულგარეთის პროლეტარიატის სახელით, მთელ დარბაზში გაისმა აღფრთოვანებული და ძლიერი ტაში. ამით ის ითქვა, რომ რამდენიც უნდა დავობდნენ ერთმანეთში სერბიისა და ბულგარეთისა მთავრობანი და დიპლომატია, რაც უნდა აღიზიანებდნენ ისინი ორივე ერს ერთი მეორეზე, ბულგარეთისა და სერბიის მშრომელი ხალხი მაინც არიან ერთმანეთისადმი სიყვარულით გაღლენთილნი და მათ ვერა ძალა ვერ დააშორებს ერთი მეორეს.

საკაზოვმა თვის სიტყვებში დაჰგმო ბულგარეთის მთავრობის მოქმედება.

„ჩვენი და თქვენი ჯარის კაცებიო, სთქვა საკაზოვმა, ძლიერ ძმურად სცხოვრობდნენ, მაგრამ დიპლომატთა ინტრიგებმა, იმპერიალიზმა და დესპოტიზმა ისინი ერთი-ერთმანეთს მიუსია. არსად და არასოდეს არა ყოფილა ისეთი ხელსაყრელი პირობები რესპუბლიკისა, როგორც ბულგარეთში. ჩვენ, ბულგარელებმა დავკარგეთ ომში ასი ათასი კაცი და ჯილდოდ მივიღეთ მთელი მილიარდი სახელმწიფოს ვალისა. ეს ვალი კი მშრომელმა ხალხმა, ისედაც ღატაკმა, უნდა გაისტუმროს. ყოველ მხრივ აწიოკება, ყველგან შიმშილი და სისხლა-კრულვა. ბულგარეთის სამეფო პარლამენტში გაგვზავნა ჩვენ 37 სოციალისტი. პარლამენტში შევეკითხეთ, თუ ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი იმ საშინელი აწიოკებისა და განადგურებისა, რაიც ომმა მოგვიტანა. ამის საპასუხოდ პარლამენტი დაითხოვეს. მაგრამ აცხადებდიო, შევეცადნეთ არჩევნებში გაიმარჯვოს მუშათა პარტიამ. ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნება. გაუმარჯოს ბალკანეთის მუშათა პარტიას!“

მოლაპარაკე მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. შემდეგ წაიკითხეს პარტიის მოქმედების ანგარიში მდივანმა და ხაზინადარმა. წაიკითხეს მოხსენებანი საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლის შესახებ, მილიტარიზმის წინააღმდეგ და სხვა. ყოველ მოხსენების შემდეგ იმართებოდა კამათი და შესაფერ რეზოლიუციებს იღებდნენ.

ამ ყრილობის შემდეგ სერბიის მუშათა პარტია განახლდა, სძლია ის საშინელი დაბრკოლებანი, რაიც ომის დროს მას გადახდა.

ყრილობამ იქონია მსჯელობა ბალკანეთის თანამედროვე მდგომარეობაზე და მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

ყრილობა მოითხოვს:

1. ახალ ოლქებში შემოღებული იყოს სრული დემოკრატიული მართვა-გამგეობა.

2. ახალ ოლქებში აღიარონ მცხოვრებთა სრული თანასწორობა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

3. რაც შეიძლება მალე დაირღვეს ფეოდალიზმი და მიწა გადაეცეს მათ, ვინც მას ამუშავებს. ყრილობა მოუწოდებს ბალკანეთის ყოველ სახელმწიფოს მშრომელ ხალხს, რომ მათ თვისი ენერგიული მოქმედებით ხელი შეუწყონ ბალკანეთის ერთა ძმურ განწყობილებასა და დაურღვეველ კავშირს; ამის განსახორციელებლად კი ყრილობას საუკეთესო ფორმად მიაჩნია: **ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ყოველ ერთა ხალხოსნურ-დემოკრატიული რესპუბლიკათა ფედერაცია.**

ყრილობასთან ერთად გაიმართა მანიფესტაცია, ფედერაციის სასარგებლოდ; ამან უტყუარად დაამტკიცა, რომ ეგრედ წოდებულ ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტა ძალუძს მხოლოდ მშრომელთა კლასებს.

## ღია წერილი

**თ-დთ ალექსანდრე რევაზის ძე!**

მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში საზოგადოება „კახეთის“ წევრთა კრებამ დაავალა კომისიაში საგანგებოდ ამორჩეულ პირთ, სადაც თავმჯდომარედ თქვენა ბრძანდებით, მოეხდინათ მთელი საზოგადოების საქმის რევიზია და წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრება—პროექტი წარმოების პირობების გასაუმჯობესებლად, უსათუოდ პირველ მაისისათვის. როგორც მოგეხსენებათ, ამ გვარი დადგენილება საზოგადოების წევრთა კრებისა გამომდინარეობდა საქმის დღევანდელ ვითარებიდან და აი უკვე 8 მაისია, მაგრამ დღემდისინ არ არის გამოცხადებული საზოგადოების წევრთა საგანგებო კრების მოწვევის დღე. რადგან საზოგადოებამ საკმაო დიდი ხარჯი გასწია კომისიის მოღვაწეობაზე იმ მოსაზრებით, რომ მისგან გამოელოდა საქმის გაუმჯობესობას, ახლო მომავალში არ შეიძლება შრომა მიიღოთ და გვაუწყოთ გაზეთის საშუალებით რა მიზეზია, რომ საგანგებო კრება ვერ შესდგა საზოგადო წევრთ მიერ დანიშნულ ვადაზედ, ე. ი. მაისში? ხომ დაგვეთანხმებით, რომ თქვენ, როგორადაც თავმჯდომარე კომისიისა, უფრო მეტს პასუხს აგებთ საზოგადოების წინაშე მის წევრთა სურვილის წინააღმდეგ მოქმედებისთვის.

**წევრ. კნ. თამარ ივანეს ასულის აბაშიძის მონდობილობით თ-დ. ივანე სოლომონის ძე აბაშიძე. წევრი არჩილ ჯარალაშვილი. წევრი ირაკლი ჩიჯავაძე. წევრი ივანე სულხანიშვილი. მიხეილ გიორგის ძე ერისთავი. ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი.**

## მოგებიანი ბილეთები

**500 მანეთი ერგო შემდეგ ბილეთებს:**

| სერიის ნომერი | ფურცლის ნომერი | სერიის ნომერი | ფურცლის ნომერი | სერიის ნომერი | ფურცლის ნომერი | სერიის ნომერი | ფურცლის ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 48 | 35 | 4426 | 14 | 8029 | 08 | 11812 | 43 |
| 101 | 28 | 4531 | 43 | 8063 | 45 | 11823 | 01 |
| 181 | 50 | 4563 | 12 | 8170 | 44 | 11997 | 15 |
| 460 | 10 | 4623 | 17 | 8316 | 34 | 12040 | 50 |
| 508 | 18 | 4760 | 34 | 8448 | 27 | 12085 | 12 |
| 558 | 22 | 4762 | 42 | 8483 | 22 | 12086 | 11 |
| 595 | 49 | 4824 | 17 | 8549 | 37 | 12098 | 11 |
| 643 | 13 | 4862 | 46 | 8613 | 42 | 12227 | 40 |
| 645 | 35 | 4868 | 49 | 8673 | 37 | 12248 | 37 |
| 692 | 12 | 4920 | 15 | 8795 | 46 | 12287 | 34 |
| 733 | 17 | 4933 | 50 | 8799 | 22 | 12319 | 42 |
| 819 | 06 | 4951 | 45 | 8856 | 28 | 12477 | 29 |
| 857 | 50 | 4952 | 16 | 8857 | 46 | 12490 | 50 |
| 912 | 37 | 4991 | 01 | 8874 | 12 | 12590 | 10 |
| 947 | 09 | 5074 | 32 | 8946 | 15 | 12615 | 19 |
| 950 | 04 | 5074 | 47 | 8974 | 15 | 12695 | 19 |
| 976 | 11 | 5091 | 39 | 9005 | 01 | 12718 | 08 |
| 1008 | 05 | 5122 | 21 | 9014 | 30 | 12741 | 30 |
| 1145 | 13 | 5156 | 28 | 9016 | 28 | 12755 | 35 |
| 1148 | 41 | 5220 | 08 | 9074 | 24 | 12784 | 35 |
| 1178 | 08 | 5251 | 08 | 9080 | 03 | 12787 | 37 |
| 1219 | 04 | 5291 | 09 | 9387 | 44 | 12901 | 22 |
| 1262 | 25 | 5294 | 47 | 9426 | 06 | 12907 | 09 |
| 1337 | 10 | 5358 | 35 | 9429 | 32 | 12940 | 49 |
| 1457 | 27 | 5499 | 46 | 9460 | 09 | 12944 | 50 |
| 1459 | 48 | 5517 | 16 | 9469 | 40 | 13033 | 37 |
| 1624 | 05 | 5551 | 08 | 9489 | 19 | 13134 | 28 |
| 1677 | 38 | 5634 | 11 | 9489 | 26 | 13175 | 14 |
| 1781 | 14 | 5697 | 47 | 9497 | 32 | 13192 | 34 |
| 1807 | 43 | 5722 | 20 | 9602 | 40 | 13256 | 45 |
| 1976 | 46 | 5724 | 11 | 9624 | 13 | 13346 | 16 |
| 1997 | 18 | 5743 | 26 | 9719 | 06 | 13357 | 40 |
| 2053 | 31 | 5880 | 11 | 9763 | 24 | 13609 | 10 |
| 2079 | 26 | 5939 | 40 | 9830 | 24 | 13617 | 10 |
| 2242 | 08 | 6112 | 25 | 9876 | 12 | 13658 | 23 |
| 2369 | 25 | 6193 | 23 | 10070 | 12 | 13573 | 06 |
| 2377 | 44 | 6219 | 26 | 10101 | 11 | 13679 | 11 |
| 2455 | 27 | 6313 | 08 | 10126 | 38 | 13742 | 35 |
| 2548 | 01 | 6379 | 38 | 10217 | 13 | 13789 | 09 |
| 2554 | 34 | 6498 | 03 | 10221 | 21 | 13834 | 44 |
| 2579 | 48 | 6508 | 28 | 10417 | 44 | 14322 | 30 |
| 2681 | 06 | 6616 | 20 | 10424 | 30 | 14571 | 21 |
| 2719 | 34 | 6662 | 10 | 10530 | 30 | 14590 | 02 |
| 2726 | 28 | 6771 | 05 | 10541 | 20 | 14630 | 45 |
| 2912 | 49 | 6785 | 21 | 10640 | 38 | 14661 | 27 |
| 3094 | 31 | 6854 | 02 | 10693 | 29 | 14847 | 45 |
| 3248 | 19 | 6921 | 45 | 10698 | 01 | 14895 | 47 |
| 3249 | 15 | 6935 | 09 | 10698 | 03 | 14921 | 10 |
| 3275 | 12 | 6972 | 4. | 10835 | 28 | 15015 | 17 |
| 3385 | 26 | 6974 | 37 | 11051 | 09 | 15150 | 40 |

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**8 მაისი.**

**უცხოეთი.**

**ნიუ იორკი.** რუზველტი სამხრეთ-ამერიკიდან დაბრუნდა.

**რომი.** სტეფანის სააგენტო იუწყება, ლონდონში იტალიის სინდიკატმა და ინგლისის ამხანაგობამ ხელ-შეკრულება დასდეს მცირე აზიაში რკინის გზებს გასაყვანად. ამ ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და ორივე სახელმწიფოს გულითადს განწყობილებასა ჰმოწმობს.

**ტოკიო.** გუბერნატორების შეცვლას და პარლამენტის დათხოვნას ელიან. ჰსურთ ახალი არჩევნებით პარლამენტში მთავრობის მომხრე უმრავლესობა შეჰქმნან.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში მორელმა იკითხა, გრძელდება თუ არა სპარსეთის რკინის გზის გაყვანის თაობაზე მოლაპარაკება და ინგლისის მთავრობა დასთანხმდა თუ არა, რომ რუსეთის გავლენის გარეშე მდებარე ადგილში რკინის გზა გაიყვანოსო. გრეიმ უპასუხა: არავითარი მუშაობა არა სწარმოებს, თუმცა გაგონილი მაქვს, რომ ჩრდილო სპარსეთში რკინის გზას იკვლევენო. მეორე კითხვაზე კი დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ არავითარი გამოკვლევა იმ მიდამოებში არ მოგვეხდენია, თუმცა პარლამენტის მიერ აღნიშნულ პირობებით კი მზადა ვართ საქმე ვაწარმოვოთო. თუ პროექტი ვერ განხორციელდა და სამხრეთ სპარსეთის მაგიერ რკინის გზა ჩრდილო სპარსეთში გაიყვანეს, ეს ინგლისის აღებ-მიცემობას დიდად აზარალებს. ვიცი, სპარსეთი ფინანსიური გაჭირვებაშია, მაგრამ საკითხი ის არის, ინგლისი შესძლებს თუ არა დაეხმაროს, თუ სპარსეთი მიჰმართავს მას.

**ვენა.** კორესპონდენც-ბიურო დურაცოდან დეპეშით იუწყება: უკანასკნელ დღეებში ამბოხება ძლიერდება. ესად-ფაშამ თავის დამცველი რაზმი გააძლიერა. მთავრობამ იგი გადააყენა და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა. ესად-ფაშის მომხრეებმა დახოცეს ნაციონალისტების მომხრე გარაფა-ბეი და მუხა-ბეი, დასჭრეს რეფაკ-ბეი, აბდი-ბეი და ტოტანის მთელი ოჯახობა. მინისტრთა კაბინეტმა ალბანეთის მთავრობას სიტყვიერად განუცხადა თანამდებობას თავს ვანებებთო.

**ბუდაპეშტი.** ავსტრიის დელეგაციის შეკითხვაზე, დურაცოში მომხდარ ამბების გამო, ბერხტოლდმა განაცხადა: ესად-ფაშა თავისი მომხრეებით თავის სახლში გამაგრდა და სროლა ჰქონდა ჟანდარმერიასთან, რომლის დროსაც მონაწილეობას იღებდა მთელი არტილერია. ავსტრიისა და იტალიის გემებიდან შეზღვაურები გაუგზავნეს ნაპირზე ალბანეთის მმართველის დასაცველად. ზარბაზნების სროლის შემდეგ ესად-ფაშას სახლზე თეთრი ბაირაღი ააფრიალეს. ალბანეთის მმართველის თხოვნით ესად-ფაშა მეზღვაურთა თანხლებით ავსტრია-ჰუნგრეთის გემზე იყვანეს. მინისტრის აზრით, მომხდარი ამბავი რაიმე აურ-ზაურს არ გამოიწვევს.

**რომი.** იტალიის მთავრობა იმედოვნებს, რომ ალბანეთში მომხდარი ამბები სახელმწიფოთა ჩარევას არ გამოიწვევს.

**კატარო.** კრეისერს „ადმირალ შპაუნ“ ებრძანა დურაცოსკენ გაემართოს.

**ვენა.** დურაცოდან დეპეშით იუწყებიან, ესად-ფაშა სტატიონერზე მიიყვანესო. მას ხმალი აჰხსნეს და ტუსაღივითა ჰყავთ.

**ნიუ-იორკი.** იუწყებიან, რომ ვილამ ფედერალისტების რაზმები დაამარცხა, ტყვედ წაიყვანა 800, დაიხოცა 5000 და ფედერალისტების გენერალი.

**მექსიკა.** მდგომარეობა დამაფიქრებელია. დღე-დღეზე ამბოხებას ელიან.

**ვენა.** თურხან-ფაშა მოვიდა და „ნეიეს-ვინერ-ტაგებლატს“ განუცხადა, ალბანეთში შექმნილ გარემოებათა გამო ბერლინსა და პეტერბურგში ვეღარ მივდივარ და ვენიდან პირდაპირ დურაცოში დავბრუნდებიო.

**ლონდონი.** ჩვეულებისამებრ გაიმართა ყოველწლიური სადილი უცხოეთის ბეჭდვითი სიტყვის ასოციაციისა. დაესწრო 200 კაცი, მათ შორის გრეი, რუსეთისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და ავსტრიის ელჩები, მინისტრები, მწერლები, უცხოეთის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი. გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა: მშვიდობიანობის დასამყარებლად საუკეთესო საშუალება ისა, რომ ვლაპარაკობდეთ ერთვნებათა შეთანხმების შესაძლებლობაზე. ბეჭდვითი სიტყვის უმთავრესი დანიშნულებაც ეს არისო.

ინგლისის მიზანი აღებმიცემობის აყვავებაა, ხოლო ეს აყვავება არ შეიძლება სხვა ქვეყნების უბედურებაზე აშენდეს. რაც უფრო მეტად განვითარდებიან სხვა ქვეყნები, მით უმეტეს აყვავდება ინგლისი.

**პარიზი.** ხმა დადის, დუმერგი თანამდებობიდან გადადგომას აპირებსო.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** იუსტიციის მინისტრი მოვიდა.

**პეტერბურგი.** სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა ნიკოლოზის სამხედრო აკადემიის საზოგადო განყოფილებაში მსმენელთა რაოდენობა 150-ით გაადიდოს, გეოდეზიისაში—6-ით.

**პეტერბურგი.** შემუშავებულია პროექტი, რომლითაც საბანკო დაწესებულებანი და პატრონნი დაისჯებიან დადგენილ წესდების დარღვევისათვის 1 წლისა და 4 თვის ციხით და 1000 მან. ჯარიმით.

**იალტა.** მიწათმომწყობის მთავარი გამგე აქედან წავიდა.

**ლიუბლინი.** სამხედრო მფრინავი ალბერხტი და მისი თანამგზავრი უნტერ-აფიცერი ფრენის დროს ჩამოცვივდნენ და დაშავდნენ.

**უფა.** ძველ მაზინში (მენზელინის მაზრა) 117 გლეხის სახლ-კარი დაიწვა. სოფ. სირგანში (სტარლატამაკის მაზრა) დაიწვა 70 მოსახლეობა.

**არხანგელსკი.** გუბერნიაში 12 სოფლის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა სახაზინო არყის დუქნები დაიკეტოსო. ამათგან 6 დუქანი უკვე დაჰკეტეს.

**ტობოლსკი.** არხანგელსკში გაჰგზავნეს 55 საჯდომი ძაღლი სედოვის მძებნელ ექსპედიციისათვის.

**ვიატკა.** განათლების მინისტრი მოვიდა.

**მოგილევი.** ხუთი ბოროტ-მოქმედი შეიჭრა გაიდუკის საფოსტო განყოფილებაში, მოჰკლეს ჩაფრების უფროსი და 3218 მანეთი გაიტაცეს.

## რუსეთი

**თათბირი ლივადიაში.**

სამ მაისს ჩქარი დეპეშით დაიბარეს და იმავე დღეს გაემგზავრა ლივადიაში ფინანსთა სამინისტროს გამგე ბარკი.

ლივადიაში იმყოფება იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი, კრივოშეინი, შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი; ლივადიაშივე გაემგზავრა კავკასიის მეფის მოადგილე ვორონცოვი-დაშკოვი. ამბობენ იქვე გაემგზავრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გორემიკინიო.

ამბობენ, რომ ლივადიაში მინისტრთა საბჭოს თათბირი უნდა გაიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის შესახებო.

თურმე სათათბიროს კამთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია უმაღლეს წრეებში. შინაური პოლიტიკა დაჰგმო არა მარტო ოპოზიციამ, არამედ ცენტრმაცა და ნაციონალისტებმაც. მინისტრები ითათბირებენ თანამედროვე კურსის ოდნავ შესუსტებაზე.

**მაკლაკოვის გადადგომა.**

სახელმწიფო სათათბიროში ქართ. დეპეშა მივიდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს მაკლაკოვს თანამდებობიდან გადადგომის თხოვნა შეუტანია; მინისტრის თხოვნა მიიღეს.

## შემოწირულება

ქართულ სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილომ შემოსავალი 200 მ. ახალი კლუბისაგან, რისთვისაც გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის დებს.

იმავე სასადილოს სასარგებლოდ ბ-ნმა ი. ნ. ზედგინიძემ შემოსწირა 168 გ. ბრინჯი. გამგეობა მადლობას სწირავს.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი**

გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი**


# გულის სნეულებანი

გულის ქონი, გულის სკრელოზი, გულის ფრიალი გულის ქოშინი, ნევრასტენია და ნერვიული სნეულებანი, სქესობრივი უძლურება, მოხუცებულობის სიჩაჩანაკე, არაქათის დაკარგვა და სხვა მხდრე ადვილად რჩება პელას სპერმინით, რასაც ამოწმებენ მწერლობაში არსებული მრავალი დაკვირვებანი მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმებისა.

პელას სპერმინი ერთად-ერთი ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინი პელასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოველ უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პელას სპერმინთან საერთო არა აქვთ რა და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა“. ხოლო ვისაც მთელი ორგანოთერაპია აინტერესებს 4 შაური კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი“.

სპერმინი-პელასი ყველგან იშოვება.

**პროფესორი** ექიმი **პელ-ი** შვილებით
**პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი**
მის იმპერატ. უდიდებულესობის სასახლის მომჯარადორენი.

Метцль и К-о. 8699. 1014.


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან.**

**ტფილისიდან გადის:**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

**ბაქოისაკენ:** **ნარევი** № 22,—4 ს. 58 წ. შუაღამ.; **სამგზავ.** № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; **სამგზავ.** № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; **ჩქარი** № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; **საფოსტო** № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

**ბათუმისაკენ:** **ნარევ.** № 21—2 ს. 59 წ. შუაღამ.; **სამგზავრო** № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; **სამგზავ.** № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; **ჩქარი** № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; **საფ.** № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

**ბორჯომისაკენ:** **სამგზავ.** № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; **სამგზავ.** № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

**მცხეთისაკენ:** **საგარაკო** № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; **საგარაკო** № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** **ნარ.** № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. **სამგზავ.** № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; **სამგზავრო** № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; **ჩქარი** № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; **საფ.** № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

**ბაქოიდან:** **ნარევი** № 21,—2 საათ. 17 შუაღამ.; **სამგზ.-საბარგ.** № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; **სამგზავ.** № 7,— 1 ს. 42 წ. დღით, **ჩქარი** № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; **საფ.** № 3,—8 ს. 58 წ. დილ.

**ბორჯომიდან:** **სამგზავ.** № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; **სამგზავ.** N 19/20,—7 ს. 25 დილ.

**მცხეთიდან:** **საგ.** № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; **საგ.** № 63,—8 ს. 48 წ. საღ.


**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. ... კოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

Ежедневная политическая и экономическая газета

# Заря Кавказа

Начинаетъ выходить съ 15 мая подъ редакторствомъ П. А... люсука и при ближайшемъ сотрудничеств Sperанza (Лев. Кип... Вадима, Дяди Пети, Н. А. Тарханова, Б. М. Бродскаго, Демяна Б... го (поэтъ), Петра Качующаго, Гепштейна, Маленькаго Твэна и др.

Плата за объявленія: впереди текста—20 к. позади текста—... за строку петита. По понедѣльникамъ: Литературная недѣля съ ка... катурами и шаржами.

# ოქროს საათი




სრულებითაც არ არის საჭირო. 200 მანეთად ... ნამდვილ ოქროს საათის მაგივრად, გირჩევთ დაიბაროთ პირდაპირ ბერლინიდან ფრანგულ ახალ ოქროს „ხრონომეტრ“-ის სისტემისა, რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება მხოლოდ 4 მ. დ. ასეთი საათები კაცისა და ქალისა მეტად თხელია, ორ-სახურავიანი, ელეგანტიური. 18 კარატ. სქლად ოქროთი დაფარული საათის მექანიზმი საუკ. ღირსებისა ანკერის „ლევი - გინემლ“, „რემონტუარის“ 40 საათ. ერთხელ და წუთი-წუთზე შემოწმებული თავდებობა გვაქვთ, რომ 10 წლის განმავლობაში ივლის. ფასი საათ. 4 მან., 2 საათი —7 მ. 50 ... საათ.—14 მ. 25 კ. ვინც ჩვენგან დაიბარებს ამ საათს მუდამ მადლობ. დაგრჩ. თითო საათს უფასოდ ვატანთ: 1, კაცებ. ძეწკვს, ორკეცს ან ქალებ. ძეწკვს ნამდვ. ფრანგ. ახალ-ოქროსას; 2. ბრელოკ-ბინოკლს პარიზის საგულისხმო ხატებით; 3. საათის ბუდეს მეწისას. გამოსაგზავნს ვიღებთ 50 კ. (ციმბირში 75 კ.) თილს ვგზავნით პირნათლად ფასდადებით, უბეოდ. მოწერა შეიძლება ყველა ენაზე მო მოყვანილის მისამართით, რომელიც შეგიძლიანთ გადასწეროთ, ან პირდაპირ ... ჭრათ და მაგრად დააწებოთ კონვერტზე (10 კაპ. მარკა უნდა გამოსაგზავნად) ან ... რათზე (4 კ. მარკა უნდა).

**მ ი ს ა მ ა რ თ ი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| Berlin Берлинъ | 127. | J. STREMFELD, Klostersv, № 42. | |

Метцль. 29623.

# მემანავასარდიანი

# პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

## „606“ და „914“

**11—12 ს. შ ი შ ხ ა პ უ ნ ი ბ ა კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.

**ზ. ვ. ავახარიძე:** 1—2 ს. ... შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. ბ ბაბახიძე:** 10—11 ს. სახვბიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**გ. გ. ზენაამანიძე:** 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგან ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ი. მ. ტერ-დავითიანი** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის! უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი**

1071

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძმეველოვები.



პუშკინის ქუჩა, ხაკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

# განყოფილება ავლაბარში

ფოსტის განყოფილების საკუთარ სახლში.

# იყიდება

იმავე ხარისხის

# საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.